საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლელიანის კატა

ლელიანის კატა (Felis chaus), მტაცებელი ძუძუმწოვარი კატისებრთა ოჯახისა. შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ როგორც მოწყვლადი სახეობა. მისი სხეულის სიგრძეა 50–90 სმ. სიმაღლე მინდაოში – 36 სმ. კუდი მოკლეა (21–30 სმ), მასა 8–12 კგ აღწევს. აქვს გრძელი ფეხები, ყურის ბოლოზე მოკლე ფუნჯები. შეფერილობა მოყვითალო-მორუხოა, მხოლოდ კუდსა და ზოგჯერ ფეხებზე აქვს შავი ზოლები. გავრცელებულია ეგვიპტიდან ინდოჩინეთამდე, ჩრდილოეთისკენ ადის მდ. ვოლგისა და კასპიის ზღვის შესართავამდე. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, მდ-ების – მტკვრის, ალზნის, ივრისა და ხრამის აუზებში. ბინადრობს ლელიანის წყლისპირა ბუჩქნარში, მაღალი ბალახით დაფარულ მონაკვეთებზე. კარგად დაძვრება ხეებზე. მთებში ზ. დ. 800 მ-ზე მაღლა არ ადის. იკვებება ფრინველებით, ძუძუმწოვრებით, თევზით, ამფიბიებით. წელიწადში მრავლდება 1–2-ჯერ, შობს 1–6 კნუტს (ძირითადად 2–3), ზრდასრულობას 9 (მდედრები) და 12 (მამრები) თვის ასაკში აღწევს. ამჟამად გამოიყოფა ლ. კ.-ის სამი ქვესახეობა – F. c. chaus (ეგვიპტიდან ავღანეთამდე), F. c. affinis (ინდოსტანის ნ.-კ.), F. c. fulvidina (ინდოჩინეთი). აღმოსავლური ქვესახეობები დასავლურზე უფრო მცირე ზომისა და მასის არიან. ლ. კ-ის ბეწვი მდარე ხარისხისაა.

ა. ბუხნიკაშვილი